ღია წერილი საქართველოში მოღვაწე ქართველ და უცხოელ ბიზნესმენებს

ლადო პაპავა

გაზეთი “რეზონანსი. მთელი კვირა” – 13 აპრილი, № 095, 2009

საქართველოსათვის უმძიმეს დღეებში საქართველოში მოღვაწე ქართველ და უცხოელ ბიზნესმენებს მოგმართავთ ამ ღია წერილით, რათა შეგახსენოთ, რომ ის, რაც დღეს საქართველოში ხდება თითოეული ჩვენთაგანისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას და რაც მთავარია ჩვენი ადგილის სწორედ გააზრებას.

ბოლო დღეებში ზოგიერთი ქართველი და უცხოელი ბიზნესმენის მხრიდან გაისმა მოწოდება ოპოზიციისა და ხალხის მიმართ თავი შეეკავებინათ საპროტესტო გამოსვლებისაგან, რადგანაც ეს უარყოფითად აისახება საქართველოს ეკონომიკაზე, რომ ასეთი გამოსვლები აფრთხობს ინვესტორებს, რაც შეაფერხებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

ის, რომ საპროტესტო აქციები ეკონომიკისათვის ცუდია ეს ყველასათვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ თქვენ ბატონო ბიზნესმენებო ადრესატი შეგეშალათ და არა ოპოზიციის ლიდერებისათვის, არამედ ხელისუფლებისათვის უნდა მიგემართათ, რადგანაც ხალხი ქუჩაში არა ოპოზიციის მოწოდებებმა, არამედ იმ უგუნურმა პოლიტიკამ გამოიყვანა, რასაც საქართველოს მთავრობა წლების განმავლობაში ახორციელებდა. ქვეყანაში სტაბილურობის გარანტი უწინარეს ყოვლისა ხელისუფლებაა, თორემ ოპოზიციურმა ლიდერებმა რამდენიც არ უნდა მოუწოდონ ხალხს, თუ საზოგადოებაში მასობრივი პროტესტის გრძნობა არ არის, ქუჩაში მხოლოდ რამოდენიმე ასეული, და არა ათასობით ადამიანის გამოყვანას შეძლებს.

ხელისუფლების ამოცანა კი ის არის, რომ უსაფრთხო გარემო შეუქმნას საკუთარ მოსახლეობას, რომ ადამიანებს არ შეელახოს ღირსების გრძნობა, რომ მათ შეეძლოთ თავისი შრომით უზრუნველყონ საკუთარი თავისა და ოჯახის ღირსეული არსებობა.

ისე კი სულაც არ არის გასაკვირი, რომ ქვეყნის ძნელბადობის ჟამს ყველაზე მეტ აქტიურობას ის ბიზნესმენები იჩენენ, რომლებიც ყველანაირი

ხერხით ცდილობდნენ და დღესაც ცდილობენ მოერგონ მოქმედ ხელისუფლებას, ქულები ჩაიწერონ მასთან. ასე იყო შევარდნაძის ეპოქაში და, სამწუხაროდ, ასეა დღესაც.

ისე, კი ძვირფასო ბიზნესმენებო თუ კი ასე გული შეგტკივად თქვენს მიერ დასაქმებულ ხალხზე, რატომ მაშინ არ ამოიღეთ ხმა, როცა ხელისუფლებამ ეს ადამიანები დააყაჩაღა საშემოსავლო გადასახადის 12-დან 25 პროცენტამდე გაზრდისას, თუ თქვენ ამ დროს მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობდით და გიხაროდათ, რომ 20 პროცენტიანი სოციალური გადასახადი გაგიუქმდათ; ან თუნდაც მაშინ ამოგეღოთ ხმა, როცა ხელისუფლებამ შრომის დრაკონული კოდექსით დაქირავებულები პრაქტიკულად თქვენს მონებად აქცია.

სამწუხაროა, რომ თქვენ არც თქვენს დაუცველ თანამოძმეებზე ფიქრობდით, როცა მათ დაუფარავად ართმევდნენ ბიზნესსა და ქონებას, უნგრევდნენ ობიქტებს. რაღაც არ გვახსოვს ხმა ამოგეღოთ მათი უფლებების დასაცავად...

ძვირფასო ქართველო ბიზნესმენებო გახსოვდეთ, რომ თქვენც ამ საზოგადოების ნაწილი ხართ, რომელიც დღეს ქუჩაში დგას, და ნუ გგონიათ, რომ კეთილდღეობას შეინარჩუნებთ თქვენივე თანამოქალაქეების უბედურების ხარჯზე!

ძვირფასო უცხოელო ბიზნესმენებო გახსოვდეთ, რომ თქვენ ბიზნესს ჩვენს სამშობლოში ახორციელებთ, და ნუ იფიქრებთ, რომ შეძლებთ იყოთ წარმატებულნი, თუ საქართველოს, ქართველებს უჭირს!

და ბოლოს, ძვირფასო ქართველო და უცხოელო ბიზნესმენებო შეგახსენებთ, რომ ჩვენ საქართველოს რიგით მოქალაქეებს ძალზედ გვჭირდება თქვენი წარმატებული ბიზნესი, თქვენს მიერ დასაქმებული ადამიანები და სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი თანხები. თქვენ ჩვენი ქვეყნის ნაწილი ხართ და საზოგადოება იმედოვნებს, რომ თქვენი უმრავლესობა სრულად ითავისებს ამ საზოგადოების ტკივილს.

13 აპრილი, 2009